საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №

2021 წლის .. ივლისი

ქ. თბილისი

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის ზონებისა და აგლომერაციების დამტკიცების შესახებ

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5[1] მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის ზონები და აგლომერაციები“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 1 სექტემბრიდან.

<u>დანართი</u>

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის ზონები და აგლომერაციები

მუხლი 1. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის ზონებისა და აგლომერაციების დადგენის პრინციპი

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის ზონები და აგლომერაციები დადგენილია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების შედეგების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინვენტარიზაციის და გეოგრაფიული და მეტეოროლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით.

მუხლი 2. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის ზონები და აგლომერაციები

საქართველოს ტერიტორია იყოფა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის შემდეგ ზონებად და აგლომერაციად:

1) შავი ზღვის ზონა;

2) დასავლეთის ზონა;

3) ცენტრალური ზონა;

4) აღმოსავლეთის ზონა;

5) მაღალმთიანი ზონა;

6) თბილისის აგლომერაცია;

მუხლი 3. შავი ზღვის ზონა

შავი ზღვის ზონა მოიცავს შემდეგ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს:

1) ქალაქი სოხუმი

2) გულრიფშის მუნიციპალიტეტი;

3) ოჩამჩირეს მუნიციპალიტეტი გარდა ქალაქი ტყვარჩელისა;

4) გალის მუნიციპალიტეტი;

5) ზუგდიდის მუნიციპალიტეტი;

6) ხობის მუნიციპალიტეტი;

7) თვითმმართველი ქალაქი ფოთი;

8) ოზურგეთის მუნიციპალიტეტი;

9) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი;

10) ქობულეთის მუნიციპალიტეტი;

11) თვითმმართველი ქალაქი ბათუმი;

12) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი;

მუხლი 4. დასავლეთის ზონა

დასავლეთის ზონა მოიცავს შემდეგ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს:

1) თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი;

2) ჭიათურის მუნიციპალიტეტი;

3) ზესტაფონის მუნიციპალიტეტი;

4) წყალტუბოს მუნიციპალიტეტი;

5) თერჯოლის მუნიციპალიტეტი

6) სამტრედიის მუნიციპალიტეტი;

7) ხონის მუნიციპალიტეტი;

8) სენაკის მუნიციპალიტეტი;

9) აბაშის მუნიციპალიტეტი.

მუხლი 5. ცენტრალური ზონა

ცენტრალური ზონა მოიცავს შემდეგ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს:

1) ხაშურის მუნიციპალიტეტი;

2) ქარელის მუნიციპალიტეტი;

3) გორის მუნიციპალიტეტი;

4) კასპის მუნიციპალიტეტი;

5) მცხეთის მუნიციპატილეტი;

6) ქვემო ქართლის მხარე.

მუხლი 6. აღმოსავლეთის ზონა

აღმოსავლეთის ზონა მოიცავს კახეთის მხარეს გარდა ახმეტის მუნიციპალიტეტისა.

მუხლი 7. მაღალმთიანი ზონა

მაღალმთიანი ზონა მოიცავს შემდეგ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს:

1) გაგრის მუნიციპალიტეტი;

2) გუდაუთის მუნიციპალიტეტი;

3) სოხუმის მუნიციპალიტეტი გარდა ქალაქი სოხუმისა;

4) აჟარის მუნიციპალიტეტი;

5) ქალაქი ტყვარჩელი;

6) ქედის მუნიციპალიტეტი;

7) ხულოს მუნიციპალიტეტი;

8) შუახევის მუნიციპალიტეტი;

9) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი;

10) მარტვილის მუნიციპალიტეტი;

11) ბაღდათის მუნიციპატილეტი;

12) ხარაგაულის მუნიციპალიტეტი;

13) ტყიბულის მუნიციპალიტეტი;

14) ვანის მუნიციპალიტეტი;

15) საჩხერის მუნიციპალიტეტი;

16) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი;

17) წალენჯიხის მუნიციპალიტეტი;

18) მესტიის მუნიციპალიტეტი;

19) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე;

20) ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული;

21) მცხეთა-მთიანეთის მხარე გარდა მცხეთის მუნიციპალიტეტისა;

22) სამცხე-ჯავახეთის მხარე;

23) ახმეტის მუნიციპალიტეტი;

მუხლი 8. თბილისის აგლომერაცია

თბილისის აგლომერაცია მოიცავს თვითმმართველ ქალაქ თბილისს.